ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 7

ქ. თბილისი

25.01.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს ,,ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს სხდომის მდივანი;

შალვა ტაბატაძე - ა(ა)იპ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ცენტრის თავმჯდომარე;

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მ/შ);
თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **ა(ა)იპ „წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზია":**
მღვდელი გიორგი(გაფრინდაშვილი)- დირექტორის მოადგილე;
გიორგი არჩუაძე- დირექტორის მოადგილე;

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი;
მარინა სეხნიაშვილი;
ლეილა გველესიანი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ მურღულიამ.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:15 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა სხდომის მდივნის არჩევის საკითხი. საბჭოს წევრები შეთანხმდენენ, რომ სხდომის მდივნის მოვალეობას შეასრულებდა გრიგოლ მურღულია.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ,,წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის “ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ „წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის " ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომა დაიწყო 23 იანვრის საბჭოს სხდომაზე ა(ა)იპ „წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის" ავტორიზაციის საკითხის განხილვისას წამოჭრილი თემების შეჯამებით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ნინო ფეტვიაშვილმა, მარინა სეხნიაშვილმა და ლეილა გველესიანმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში არსებული ხარვეზების უმრავლება ვიზიტის დროს იქნა გამოსწორებული, რაც დასტურდებოდა ესქპერტთა ჯგუფის დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი დანართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი არჩუაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მხრიდან მოხდა რეაგირება ყველა ხარვეზზე. ნაწილი ხარვეზებისა გამოსწორდა ვიზიტის პერიოდში, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში, წესდებასა და შინაგანაწესში, ასევე, ცვლილებები შევიდა დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და ექვსწლიან სამოქმედო გეგმაში. მისი განმარტებით ნაწილი რეკომენდაციების შესაბამისი ცვლილებებისა კი განხორციელდა ვიზიტის შემდგომ, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც ადგილზე ჰქოდათ წარმოდგენილი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ „წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიისთვის " ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ა(ა)იპ ,,წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიას" (ს/კ: 241582685) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

14:35 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
გრიგოლ მურღულია

მდივანი
თამარ ფხალაძე